



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჯონი ავაქიძე 2009 წლის 14 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით იმყოფებოდა იტალიაში, ქალაქ რივა დელ გარდაში, სადაც მონაწილეობა მიიღო ევროპის არქეოლოგთა ასოციაციის სიმპოზიუმის მაშაობაში.

ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 650 მეცნიერმა 41 ქვეყნიდან. სიმპოზიუმი ეძღვნებოდა წინარე ისტორიული ხანის სამაროვნების კულტურის შესწავლას ახალი მიღწევებისა და ტექნოლოგიების საფუძველზე.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი კონფერენციაზე წარსდგა მოხსენებით შიდა ქართლში მდებარე გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის თლიას სამარონის ისტორიული და ქრონოლოგიური ინტერპრეტაციის შესახებ. საკითხის აქტუალობა გამოწვეული იყო იმითაც, რომ კოლხური კულტურის ეს ეტალონური ძეგლი მდებარეობს შიდა ქართლის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ, ჯავის რაიონში. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ამ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობა და მოხსენებით გამოსვლა მნიშვნელოვანია ასევე ევროპის არქეოლოგიურ სივრცესთან სოხუმის უნივერსიტეტის კონტაქტების გაფართოების თვალსაზრისითაც.